

რეფლექტის ფლოუ (REFLECTYS Flow)

ნანო ჰიბრიდული თხევადი კომპოზიტებით

ფოტოპოლიმერიზირებადი გაუმჭვირვალე თხევადი კომპოზიტი

აღწერილობა:

REFLECTYS Flow არის ფოტოპოლიმერიზირებადი გაუმჭვირვალე თხევადი აღმდგენი ნაერთი

შემადგენლობა:

- * Bis -GMA * ბარიუმის მინა
- * TEGDMA * სილიციუმი
- * UDMA * არაორგანული შემავსებლის პროცენტული წილი არის დაახლოებით 60%.

მითითებები:

- * V კლასის რესტავირება (ცერვიკალური კარიესი, ფესვების ეროზია, ლურსმული ფორმის დეფექტი)
- * წინა რესტავრაცია (III და IV კლასი)
- * უკანა მხარის მცირე რესტავრაციები
- * მოლარებისა და პრემოლარების ფართო ბზარების დაბუჟენა
- * კომპოზიტური /კერამიკის ზედაპირების აღდგენა
- * დამუშავებული კბილის დაბლოკვა

უკუჩვენებები:

REFLECTYS Flow არ უნდა გამოიყენოთ პაციენტებთან, რომლებიც ავლენენ მის მიმართ ჰიპერმგრძობელობას ანდა აქვთ მეტაკრილატის მონომერის მიმართ ჰიპერმგრძობელობის ანტიცედეტები.

რეკომენდირებული პროცედურა:

1. შეფერილობის არჩევა. გაისუფთავეთ კბილები პემზისა და წყლის ნაზავით კბილის ზედაპირზე ლაქებისა და ნადებების მოსაცილებლად. კბილების იზოლირებამდე შეარჩიეთ შესაბამისი ფერი. **2. პირის ღრუს პრეპარირება.** მოაცილეთ ყველა შესაძლო ხელისშემშლელი ამალგამა და ძირითადი მასალა. **3. პულპის პროტექცია.** ღრმა ღრუს შემთხვევაში, პულპასთან ახლოს დენტინი დაფარეთ პოლიმერიზირებადი კალციუმის ჰიდროქსიდის მცირე რაოდენობით დატოვებით რა ღრუს დანარჩენ ზედაპირს თავისუფალს კოლაჟისათვის. ძირითად მასალად შესაძლოა გამოყენებული იქნას იონომერის მინა ან სხვა მასალა ევგენოლის გარეშე. **4. ემალისა და დენტინის მკურნალობა.** რაც შეეხება გრავირებას, მოხმარებას და წებოვანი ნივთიერების გაშრობას, დაიცავით მწარმოებლის მიერ მითითებული ინსტრუქცია. **5. განაწილება.** მას შემდეგ რაც მოვხსნით სახურავს, ერთჯერადი წვერი მოარგეთ შპრიცს. სანამ მოხმართ დარწმუნდით რომ ნემსი არ არის დახშული. საჭიროების შემთხვევაში, ამოიღეთ წვერო და მცირე ოდენობით ნივთიერება გამოუშვით შპრიცის კონუსიდან. შპრიცში ყველა ხილული საცობი მოაშორეთ. მოარგეთ ახალი ერთჯერადი წვერო და ხელახლა გამოუშვით ცოტაოდენი შიგთავსი. REFLECTYS Flow შესაძლოა გადმოვიდოთ გამანაწილებელ კონტეინერში და გამოვიყენოთ ჯაგრისით ანდა სხვა ადაპტირებული ხელსაწყოთი. **6. მოთავსება.** მოათავსეთ წებოვანი ნივთიერება 2,00 მმ ანდა უფრო მცირე დონის დანამატში, გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, გამოუშვებთ რა ნივთიერებას, უკან გამოსწიეთ დგუში. **7. გაშრობა.** სარესტავრაციო თვითეული ზონა უნდა იყოს მაღალი ინტენსივობის განათების ქვეშ. რაც შეიძლება ახლოს მიიტანეთ სანათური სარესტავრაციო ზონასთან მთელი პროცესის მანძილზე. გააშრეთ სინათლის გამოყენებით 20 წამის განმავლობაში სტანდარტული ფოტოპოლიმერიზაციით სამკურნალო ერთეულის მეშვეობით (შესაძლოა პროცედურამ უფრო მეტ ხანს გასტანოს, თუ სტანდარტული ფოტოპოლიმერიზაციით სამკურნალო მოწყობილობიდან გამომავალი წნევა რადიომეტრის მიხედვით 400 mW/cm² ქვემოთაა.) **8. დასრულება.** დასრულება და გაპრიალება ჩვეულებრივი ტექნიკური აღჭურვილობით შეასრულეთ.

შენახვა


1. არ შეინახოთ მაღალი ტემპერატურის ანდა ინტენსიური განათების ადგილას.
2. შეინახეთ გრილ ადგილას.
3. არ შეინახოთ ევგენოლის შემცველ ნივთიერებებთან ახლოს.
4. REFLECTYS Flow მოხმარებისთანავე დახურეთ სახურავი.

გაფრთხილება:

1. გამოიყენება მხოლოდ სტომატოლოგიური მიზნით.
2. პროდუქტი გამოყენებულ უნდა იქნას დანტისტის ანდა სტომატოლოგიური სფეროს წარმომადგენლის მიერ. დაიცავით პროცედურის წესები და უსაფრთხოების ნორმები.
3. მოარიდეთ პრეპარატი იმ ადამიანებს, რომლებიც მას არადანიშნულებისამებრ გამოიყენებენ, მათ შორის ბავშვებსა და ასაკოვან ადამიანებს.
4. თუ შეამჩნევთ კანის მგრძობელობას ანდა აკრილატზე ალერგიის ნიშნებს, შეწყვიტეთ პრეპარატის მოხმარება.
5. ერიდეთ გაუმშრალი პრეპარატის ზემოქმედებას, კანზე მოხვედრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საპნითა და წყლით.

6. თვალვით ან პირის ღრუს ქსოვილებთან შემთხვევითი კონტაქტის დროს, დაუყოვნებლივ გამოირეცხეთ დიდი ოდენობით წყლის ჭავლით.
7. რეკომენდირებულია დამცავი ხელთათმანების ხმარება და მოხმარების დროს "უკონტაქტო" მეთოდის გამოყენება.
8. პრეპარატის გამოყენებამდე რეკომენდირებულია სასუნთქი გზების დამცავი ეკიპირების გამოყენება.
9. თუ პრეპარატი გაყინულია, მის გამოყენებამდე დაუბრუნეთ გარემო ტემპერატურას.
10. არა პოლიმერიზირების შემთხვევაში, შეამოწმეთ რამდენად ინტენსიურია ფოტოპოლიმერიზაციით სამკურნალო მოწყობილობის განათება და შემდეგ დაუკავშირდით მომწოდებელს ან პირდაპირ მწარმოებელს ყველაფერზე, რაც ხარისხის პრობლემასთანაა დაკავშირებული.
11. არ გამოიყენოთ ვადის გასვლის შემდეგ.

სიმბოლოები

	იხილეთ ინსტრუქციები
	მწარმოებელი
	ტემპერატურის შეზღუდვა
	შენახვის ვადა
	გამაღიზიანებელი
RxOnly	მხოლოდ რეცეპტით
MD	სამედიცინო მოწყობილობა
LOT	სერიის ნომერი
	ერთჯერადი გამოყენების წვეროები
REF	საცნობარო ნომერი
	მოარიდეთ მზის სინათლეს
	შეინახეთ მშრალ ადგილას

მწარმოებელი:

ITENA

ITENA CLINICAL

www.itena-clinical.com

საფრანგეთი, ვილპენტი 93420, ჟორჟ კლემენკოს გამზ. 31

ტელ.: +33(0)1 45 91 61 40

CE 0425

Ind. 6- თარიღი: 09/2020